

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“

**2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორის დასკვნა**

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1	საქმიანობის ტიპი და ზოგადი ინფორმაცია	7
2	მომზადების საფუძველი	7
3	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4	ძირითადი საშუალებები	10
5	წინასწარი გადახდები	11
6	ფული და მისი ექვივალენტები	11
7	კაპიტალი	11
8	შემოსავალი	11
9	თვითღირებულება	11
10	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11
11	წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების გადაფასებიდან	12
12	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	12
13	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	12
14	ფუნქციონირებადი საწარმო	12
15	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	13
16	პირობითი ვალდებულებები	13
17	შემდგომი მოვლენები	14

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**შპს „ფინტერ სოფტვარე სისტემს გეორგია“ მფლობელებს და მენეჯმენტს****მოსაზრება**

ჩავატარეთ შპს „ფინტერ სოფტვარე სისტემს გეორგია“-ს (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომზადებულების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიამე/სერთიფიცირებული აუდიტორი/პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 31 ივლისი 2025

თბილისი, საქართველო



შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	8	6,577,575	7,123,530
თვითღირებულება	9	(4,847,144)	(5,760,495)
საერთო მოგება		1,730,431	1,363,035
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	10	(721,571)	(572,347)
სულ საოპერაციო ხარჯი		(721,571)	(572,347)
საოპერაციო მოგება		1,008,860	790,688
წმინდა უცხოური ვალუტის მოგება/(ზარალი)	11	(162,075)	(130,645)
სხვა არა საოპერაციო შემოსავალი		6,384	-
სხვა არა საოპერაციო ხარჯი	12	(49,582)	(3,069)
მოგება დაბეგრამდე		803,587	656,974
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		803,587	656,974
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		803,587	656,974

მიხეილ ქუმსიშვილი
 დირექტორი

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“

თარიღი: 31 ივლისი 2025

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	8	6,577,575	7,123,530
თვითღირებულება	9	(4,847,144)	(5,760,495)
საერთო მოგება		1,730,431	1,363,035
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	10	(721,571)	(572,347)
სულ საოპერაციო ხარჯი		(721,571)	(572,347)
საოპერაციო მოგება		1,008,860	790,688
წმინდა უცხოური ვალუტის მოგება/(ზარალი)	11	(162,075)	(130,645)
სხვა არა საოპერაციო შემოსავალი		6,384	-
სხვა არა საოპერაციო ხარჯი	12	(49,582)	(3,069)
მოგება დაბეგვრამდე		803,587	656,974
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		803,587	656,974
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		803,587	656,974

მიხეილ ქუმსიშვილი
 დირექტორი

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“

თარიღი: 31 ივლისი 2025

შპს „ფინტერ სოფტვარე სისტემს გეორგია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	456,816	579,297
სულ გრძელვადიანი აქტივები		456,816	579,297
მოკლევადიანი აქტივები			
წინასწარი გადახდები	5	58,509	38,933
მარაგები		4,449	4,399
ფული და ფულის ექვივალენტები	6	2,880,909	585,903
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,943,867	629,235
სულ აქტივები		3,400,683	1,208,532
ვალდებულება და კაპიტალი			
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	7	1,769,613	428,478
სხვა რეზერვები	7	317,397	317,397
დაგროვილი მოგება		1,262,121	458,534
სულ კაპიტალი		3,349,131	1,204,409
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ხელფასები		500	500
საცაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	12	51,052	3,623
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		51,552	4,123
სულ ვალდებულებები		51,552	4,123
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,400,683	1,208,532

მიხეილ ქუშიშვილი
 დირექტორი



შპს „ფინტერ სოფტვარე სისტემს გეორგია“

თარიღი: 31 ივლისი 2025

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	456,816	579,297
სულ გრძელვადიანი აქტივები		456,816	579,297
მოკლევადიანი აქტივები			
წინასწარი გადახდები	5	58,509	38,933
მარაგები		4,449	4,399
ფული და ფულის ექვივალენტები	6	2,880,909	585,903
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,943,867	629,235
სულ აქტივები		3,400,683	1,208,532
ვალდებულება და კაპიტალი			
კაპიტალი			
მფობელთა კაპიტალი	7	1,769,613	428,478
სხვა რეზერვები	7	317,397	317,397
დაგროვილი მოგება		1,262,121	458,534
სულ კაპიტალი		3,349,131	1,204,409
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ხელფასები		500	500
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	12	51,052	3,623
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		51,552	4,123
სულ ვალდებულებები		51,552	4,123
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,400,683	1,208,532

მიხეილ ქუმსიშვილი
 დირექტორი

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“

თარიღი: 31 ივლისი 2025

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	მფობელთა კაპიტალი	სხვა რეზერვები	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022-ის მდგომარეობით	428,478	317,397	(198,440)	547,435
წლის მოგება	-	-	656,974	656,974
სულ სრული შემოსავალი	-	-	656,974	656,974
კაპიტალის გაზრდა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023-ის მდგომარეობით	428,478	317,397	458,534	1,204,409
წლის მოგება	-	-	803,587	803,587
სულ სრული შემოსავალი	-	-	803,587	803,587
კაპიტალის გაზრდა	1,341,135	-	-	1,341,135
31 დეკემბერი 2024-ის მდგომარეობით	1,769,613	317,397	1,262,121	3,349,131

მიხეილ ქუშიშვილი
 დირექტორი



შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“

თარიღი: 31 ივლისი 2025

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	მფობელთა კაპიტალი	სხვა რეზერვები	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022-ის მდგომარეობით	428,478	317,397	(198,440)	547,435
წლის მოგება	-	-	656,974	656,974
სულ სრული შემოსავალი	-	-	656,974	656,974
კაპიტალის გაზრდა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023-ის მდგომარეობით	428,478	317,397	458,534	1,204,409
წლის მოგება	-	-	803,587	803,587
სულ სრული შემოსავალი	-	-	803,587	803,587
კაპიტალის გაზრდა	1,341,135	-	-	1,341,135
31 დეკემბერი 2024-ის მდგომარეობით	1,769,613	317,397	1,262,121	3,349,131

მიხეილ ქუმსიშვილი
 დირექტორი

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“

თარიღი: 31 ივლისი 2025

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
მიღებული ფულადი სახსრები კლიენტებისგან	8	6,557,303	5,784,388
უკან დაბრუნებული დღგ		73,119	103,228
მიღებული პროცენტი		-	16
გადახდები ადგილობრივ მომწოდებლებთან	10	(304,655)	(186,540)
გადახდები არა ადგილობრივ მომწოდებლებთან		(4,424)	(599)
გადახდილი ხელფასი	9	(4,602,726)	(5,425,878)
გადახდილი გადასახადები	5	(249,216)	(295,466)
გადახდილი საპენსიო გადასახადი		(32,747)	(30,753)
ზანღის საკომისიო		(2,320)	(3,451)
იჯარა	10	(325,742)	(312,217)
კომუნალური გადასახადები	10	(11,502)	(14,367)
მიღებული ნაღდი ფული საოპერაციო საქმიანობიდან		1,097,090	(381,639)
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	-	(145,519)
ფულის მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		-	(145,519)
კაპიტალის ზრდა		1,341,135	-
გაცემული სესხი		-	(10,000)
სესხის დაბრუნება		-	10,000
ფულის მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		1,341,135	-
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ნაღდი ფულისა და მის ექვივალენტზე	11	(143,219)	(130,645)
ფულის და ფულის ექვივალენტების საწყისი ბალანსი	6	585,903	1,243,706
ფული და მისი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		2,880,909	585,903

მიხეილ ქუშსიშვილი
 დირექტორი



შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“

თარიღი: 31 ივლისი 2025

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
მიღებული ფულადი სახსრები კლიენტებისგან	8	6,557,303	5,784,388
უკან დაბრუნებული დღგ		73,119	103,228
მიღებული პროცენტი		-	16
გადახდები ადგილობრივ მომწოდებლებთან	10	(304,655)	(186,540)
გადახდები არა ადგილობრივ მომწოდებლებთან		(4,424)	(599)
გადახდილი ხელფასი	9	(4,602,726)	(5,425,878)
გადახდილი გადასახადები	5	(249,216)	(295,466)
გადახდილი საპენსიო გადასახადი		(32,747)	(30,753)
ბანკის საკომისიო		(2,320)	(3,451)
იჯარა	10	(325,742)	(312,217)
კომუნალური გადასახადები	10	(11,502)	(14,367)
მიღებული ნაღდი ფული საოპერაციო საქმიანობიდან		1,097,090	(381,639)
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	-	(145,519)
ფულის მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		-	(145,519)
კაპიტალის ზრდა		1,341,135	-
გაცემული სესხი		-	(10,000)
სესხის დაბრუნება		-	10,000
ფულის მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		1,341,135	-
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ნაღდი ფულისა და მის ექვივალენტებზე	11	(143,219)	(130,645)
ფულის და ფულის ექვივალენტების საწყისი ბალანსი	6	585,903	1,243,706
ფული და მისი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		2,880,909	585,903

მიხეილ ქუმსიშვილი
 დირექტორი

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“

თარიღი: 31 ივლისი 2025

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1 საქმიანობის ტიპი და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“ („კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2022 წლის მაისიდან. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის მთავარი ადგილი არის საქართველო.

მისი ძირითადი საქმიანობაა საკონსულტაციო მომსახურება კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სფეროში (საიდენტიფიკაციო ნომერი – 405534916). კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრორაიონი, კორპუსი 21, ბინა N103.

კომპანია 100%-ით ეკუთვნის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „B2B FINTECH SOFTWARE SYSTEMS GROUP LIMITED“ (HE 384930 /კვიპროსი/, 08.06.2018), რომელიც რეგისტრირებულია კვიპროსში. მშობელი კომპანიის მფლობელი და კომპანიის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელია - იევგენია მიკულიაკი.

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში ცვლილებები და სამართლებრივი, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების განვითარება საქართველოში უწყვეტ ხასიათს ატარებს. ამ ცვლილებებზე დიდწილად არის დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება. მთავრობამ აიღო ახალი ვადებულებები კარგი მმართველობის კუთხით, მათ შორის ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი ამჟამინდელი ლიკვიდურობა საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისთვის. კომპანია რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდურობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში აპირებს გამოიყენოს შესაბამისი ლიკვიდურობის პოზიციის ინსტრუმენტები.

ამ მოვლენებმა შესაძლოა შემდგომი მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის მომავალ ოპერაციებზე და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრული შედეგების პროგნოზირება ამჟამად რთულია. მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და მისი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი მოლოდინებისგან.

შენიშვნა 2 მომზადების საფუძველი

2.1 შესაბამისობის განცხადება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განკუთვნილი საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის ("შსს ფასს"-ი) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე. თითოეული აქტივისა და ვალდებულების კატეგორიის შეფასების დეტალები მოცემულია ამ შენიშვნების შესაბამის ნაწილებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვა რამ არ არის მითითებული) და დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებისა და პროფესიული განსჯის გამოყენება

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები იხილეთ მე13 და 14 განმარტებითი შენიშვნაში.

შენიშვნა 3 მნიშვნელოვანი სააღივებო პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტები

უცხოურ ვალუტაში ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, ოპერაციები, რომლებიც განხორციელებულია ფუნქციურ ვალუტაზე განსხვავებულ ვალუტაში, აღრიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ოპერაციის დღისათვის განსაზღვრული გაცვლითი კურსით. ყოველი ანგარიშგების დღისთვის, მონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ანგარიშგების დღისთვის განსაზღვრული კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1 აშშ დოლარისთვის 2.8068 ლარს და 1 ევროსთვის 2.9306 ლარს. არამონეტარული აქტივები არ გადაანგარიშდება და შეფასდება ისტორიული ღირებულებით (ოპერაციის დღისთვის არსებული გაცვლითი კურსით), გარდა იმ არამონეტარული აქტივებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, რომლებიც გადაანგარიშდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს მოქმედი კურსით.

გაცვლითი კურსის სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშების შედეგად, აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

3.2 ფული და მისი ეკვივალენტები

ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტი აქტივები მოიცავს ფულს ბანკში და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხება შესყიდვის ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. შესყიდვის ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის გადასახადსა და დაუბრუნებელ გადასახადებს, ასევე სხვა პირდაპირ ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალება შედგება მნიშვნელოვან კომპონენტებისგან, რომელთა გამოყენების ვადები განსხვავდება, ისინი აღრიცხება როგორც ცალკეული ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალების გაყიდვის შედეგად წარმოქმნილი მოგება/ზარალი აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მიღებული შემოსავლისა და აქტივის ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობით.

ცალ-ცალკე აღრიცხული ძირითადი საშუალებების კომპონენტის შეცვლაზე გაწეული ხარჯი, კაპიტალიზდება ჩამოწერილი კომპონენტის საბალანსო ღირებულებით. კიდევ ერთი შემდგომი ხარჯი კაპიტალიზდება, თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება აღნიშნული დანახარჯებიდან. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის რემონტი და კეთილმოწყობა, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში გაწეული ხარჯის ოდენობის შესაბამისად.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. კომპანია იყენებს ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მეთოდს და სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ოფისის ინვენტარი	5 წელი
სამუშაო მაგიდები და სხვა ავეჯი	5 წელი
დაქირავებულ ოფისის მოწყობა	3 წელი

3.4 წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდა აღრიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა ეხება აქტივს, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შესაძენად წინასწარი გადახდა გადარეკლასიფიცირდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს აქტივზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მიიღება საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარ გადახდასთან. თუ არსებობს მითითება, რომ წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარებულია წლის მოგება-ზარალში.

3.5 მარაგები

მარაგები წარმოადგენს აქტივებს, რომლებიც განკუთვნილია ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გაყიდვისთვის, ან მასალების ან მარაგის სახით, რომლებიც გამოიყენება წარმოების პროცესში ან მომსახურების გაწევისას. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი“ მეთოდით.

3.6 საფაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები

კლიენტზე მოკლევადიან საკრედიტო პირობებით გასაყიდი საქონლის/მომსახურების შემთხვევაში, დებიტორული დავალიანება აღირიცხება იმ დაუდისკონტრირებელი თანხის ოდენობით, რომელიც უნდა იქნეს მიღებული კონტრაგენტისგან, რაც ჩვეულებრივ წარმოადგენს ინვოისის ფასს

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივი/მომსახურება რეალიზებულია კლიენტზე ორი წლის ვადით, უპროცენტო საკრედიტო პირობებით, დებიტორული დავალიანება აღიარდება აღნიშნული აქტივის მიმდინარე ნაღდი ფულადი გასაყიდი ფასის ოდენობით. თუ მიმდინარე ნაღდი ფულადი გასაყიდი ფასი უცნობია, იგი შეიძლება შეფასდეს როგორც ფულადი სახსრების მისაღები ნაკადის მიმდინარე ღირებულება, რომელიც განისაზღვრება მისაღები თანხის დისკონტირებით, გამოყენებული ანალოგიური დებიტორული დავალიანებისათვის მოქმედი საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით

3.7 მიღებული სესხები

ბანკისგან მიღებული სესხის შემთხვევაში, გადასახდელი ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ბანკისთვის გადასახდელი ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებით (მაგალითად, პროცენტების გადახდებისა და ძირის დაფარვის ჩათვლით)

3.8 საფაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით შემენილი საქონლის შემთხვევაში, გადასახდელი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლის მიმართ გადასახდელი დაუდისკონტრირებელი თანხის დაუმცირებელი ოდენობით, რაც ჩვეულებრივ წარმოადგენს ინვოისის ფასს.

3.9 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის აქციონერების მიერ კომპანიის წესდებაში შეტანილ შენატანებს. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავს კომპანიის აქციონერები. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე

მფლობელებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია აღირიცხება ცალკე, კაპიტალის მუხლში. მშობელი კომპანიის მიერ უსასყიდლოდ გადაცემული აქტივები აღირიცხება როგორც სხვა რეზერვები

დაგროვილი მოგება/(ზარალი) მოიცავს ყველა მიმდინარე და წინა პერიოდის დაგროვილ მოგებას.

3.10 მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი მიმდინარე საგადასახადო მოდელი („ესტონური კორპორაციული დაბეგვრის მოდელი“) ითვალისწინებს ნულოვან მოგების გადასახადის განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან მოგების გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. ვინაიდან „კომპანიას გააჩნია საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, მოგების გადასახადის გამოთვლა და გადახდა ხორციელდება განსხვავებული წესით სხვა კომპანიებთან შედარებით: „და მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 5%-ს დივიდენდების განაწილებისას, და არ იხდის საშემოსავლო გადასახადს დივიდენდის განაწილების დროს. შედეგად, კომპანიები იხდიან მოგების გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ინდივიდუალურ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არახელსაყრელი ტრანსსასაზღვრო ტრანზაქციები დაკავშირებულებთან. წვეულებები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში

3.11 თანამშრომელთა სარგებელი

თანამშრომლების მოკლევადიანი სარგებელი არის სარგებელი, რომელიც მოსალოდნელია მთლიანად გადაიხადოს წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან თორმეტ თვემდე, როდესაც თანამშრომლები ახორციელებენ შესაბამის მომსახურებას და მოიცავს:

1. ხელფასები, ანაზღაურება და პრემიები;
2. საშუალო წლიური შვებულების და დასაქმებულის ავადმყოფობის შვებულების ანაზღაურება;
3. სოციალური უზრუნველყოფის სარგებელი და სხვა სოციალური გადახდები;

როდესაც თანამშრომლები კომპანიას უწყვენ მომსახურებას საადრიცხო პერიოდის განმავლობაში, კომპანია აღიარებს თანამშრომლების მოკლევადიანი სარგებელის არადისკონტრეტულ რაოდენობას, რომელიც უნდა გადაიხადოს ამ მომსახურების სანაცვლოდ:

1. ვალდებულების სახით (დარიცხული ხარჯი), უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება სარგებლის არადისკონტრეტულ თანხას, კომპანიამ უნდა აღიაროს ეს ჭარბი აქტივად (წინასწარ გადახდილი ხარჯად), რამდენადაც წინასწარ გადახდა გამოიწვევს მომავალი გადახდების შემცირებას ან ფულადი სახსრების დაბრუნებას..

2. ხარჯის სახით, გარდა შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის აქტივის ღირებულებაში..

3.12 შემოსავალი

შემოსავლის შეფასების პრინციპი არის მიღებული ან მიღებადი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება, განიხილავს შესაძლო სავაჭრო ფასდაკლებებს ან დაბრუნებებს, მათ შორის მოცულობით დაბრუნებებს და დროულ გადახდებზე დაშვებულ ფასდაკლებებს.

მომსახურების გაწევა

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კონსულტაცია კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში.

ასეთ მომსახურებაზე მიღებული შემოსავალი აღრიცხება მაშინ, როდესაც მომსახურების სპეციფიკაციის მიხედვით, რომელიც შეთანხმებულია კლიენტთან, სამუშაოები შესრულებულია და შესრულებული სამუშაოების (მომსახურების) აქტი ორივე მხარის მიერ არის ხელმოწერილი, იმ პირობით, რომ შემოსავლის ოდენობა და შესაბამისი ხარჯები გაზომვადია და ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი სავარაუდოდ შემოედინება კომპანიაში.

შენიშვნა 4 ძირითადი საშუალებები

	საოფისე ინვენტარი	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება				
1 იანვარი 2023-ის მდგომარეობით	290,388	372,351	792	663,532
დამატებები	125,202	-	-	125,202
ჩამოწერა	(5,922)	-	-	(5,922)
31 დეკემბერი 2023-ის მდგომარეობით	409,668	372,351	792	782,810
დამატებები	33,783	-	-	33,783
31 დეკემბერი 2024-ის მდგომარეობით	443,451	372,351	792	816,594
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2023-ის მდგომარეობით	19,330	32,736	44	52,110
წლის განმავლობაში დაგროვილი ცვეთა	77,328	74,907	265	152,500
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთის ჩამოწერა	(1,097)	-	-	(1,097)
31 დეკემბერი 2024-ის მდგომარეობით	95,562	107,643	309	203,514
წლის განმავლობაში დაგროვილი ცვეთა	81,485	74,515	265	156,265
31 დეკემბერი 2024-ის მდგომარეობით	177,046	182,158	574	359,779
წმინდა ღირებულება				
31 დეკემბერი 2023-ის მდგომარეობით	314,106	264,708	483	579,297
31 დეკემბერი 2024-ის მდგომარეობით	266,405	190,193	218	456,816

შპს „ფინტეჩ სოფტვარე სისტემს გეორგია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში

შენიშვნა 5 წინასწარი გადახდები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
წინასწარ გადახდილი იჯარა	27,730	25,308
წინასწარ გადახდები ბიუჯეტში	13,610	11,763
სხვა წინასწარ გადახდები	17,169	1,862
სულ	58,509	38,933

კომპანიამ შეიძინა გარკვეული მომსახურება/პროდუქცია საქართველოსა და საზღვარგარეთ მდებარე მომწოდებლებიდან

შენიშვნა 6 ფული და მისი ექვივალენტები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	39,783	54,737
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	2,841,127	531,167
სულ	2,880,909	585,903

შენიშვნა 7 კაპიტალი

კომპანიის სადამფუძნებლო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლის შენატანს კომპანიის სადამფუძნებლო კაპიტალში, ნაღდი ფულისა და ძირითადი საშუალებების სახით. 2024 წლის 4 ოქტომბერს დამფუძნებელმა განახორციელა კაპიტალური შენატანი 450,000.00 ევროს ოდენობით (1,341,315 ლარი)

შენიშვნა 8 შემოსავალი

	2024	2023
სოფტის კოდის შემუშავება/დეველოპმენტი	-	4,722,360
ტექნიკური მხარდაჭერა	6,577,575	2,079,733
მობილური აპლიკაციების შემუშავება	-	321,437
სულ	6,577,575	7,123,530

შენიშვნა 9 თვითღირებულება

	2024	2023
თანამშრომელთა სარგებელი	4,779,775	5,655,309
ცვეთა	67,370	105,186
სულ	4,847,144	5,760,495

თანამშრომელთა სარგებელი მოიცავს თანამშრომლების ხელფასებსა და სხვა ფიზიკური პირების მომსახურების ხარჯებს.

შენიშვნა 10 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
იჯარის ხარჯი	275,397	264,592
ხელფასები	210,958	145,072
საკომუნიკაციო ხარჯები	49,418	51,382
ცვეთა	88,896	47,313
იურიდიული და საბუღალტრო მომსახურება	49,558	38,888
აუდიტის მომსახურება	19,342	-
საოფისე ხარჯი	5,440	10,053
სხვა ხარჯი	22,563	15,048
სულ	721,571	572,347

შპს „ფინტეჩ სოფტვარე სისტემს გეორგია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში

შენიშვნა 11 წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების გადაფასებიდან

უცხოური ვალუტისა და მოგების/ზარალის გავლენა ნაღდი ფულისა და ფულის ექვივალენტებზე შეადგენს 130,645 ლარს

	2024	2023
მოგება უცხოური ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივების გადაფასებიდან	57,932	132,993
ზარალი უცხოური ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივების გადაფასებიდან	(220,007)	(263,638)
სულ	(162,075)	(130,645)

შენიშვნა 12 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

2024 წლის ბოლოს მდგომარეობით, სხვა გადასახდელებში აღიარებულია 49,581 ლარის ოდენობის ვალდებულება, რომელიც აღიარებულია იურიდიული დავის შედეგად.

2023 წლის 1 სექტემბერს, კომპანიის ყოფილმა თანამშრომელმა კომპანიის წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომლითაც ითხოვდა გათავისუფლების ბრძანების გაუქმებას, სამსახურში აღდგენას და კომპენსაციის გადახდას

2025 წლის 27 მაისს მხარეებმა დადეს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც კომპანიამ იკისრა ვალდებულება გადაეხადა ყოფილ თანამშრომლისთვის 49,581 ლარი. აღნიშნული თანხა იმ თარიღზე აღიარებულია როგორც ვალდებულება და ასახულია მიმდინარე გადასახდელებში.

შენიშვნა 13 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრული იქნება მოცემულ ვითარებაში.

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს მომავალთან დაკავშირებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს შესაბამისი ფაქტობრივი შედეგებისგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეს აქტივების საბალანსო ღირებულებაზე გავლენა მოცემულია ქვემოთ

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

მენეჯმენტმა აფასებს გრძელვადიანი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს. მენეჯმენტი თვლის, რომ ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები არსებითად არ განსხვავდება ამ აქტივებიდან ეკონომიური სარგებლის მიღების პერიოდზე. იმ შემთხვევაში როდესაც არის სხვაობა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებსა და ამ აქტივიდან მისაღებ ეკონომიური სარგებლის პერიოდს შორის, ხდება შეფასებების განახლება

შენიშვნა 14 ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი აფასებს კომპანიის შესაძლებლობას, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და ანგარიშგების მომზადებისას იყენებს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, საქმიანობის შეწყვეტა.

მენეჯმენტის შეფასებით კომპანია ფუნქციონირებს უწყვეტი საქმიანობის პრინციპით, ამასთან, ამ მიმართულებით არსებით გაურკვევლობას ადგილი არ აქვს, ამიტომ ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე.

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში

შენიშვნა 15 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, მოიცავს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთ ან რამდენიმე შუამავლით არიან დაკავშირებული კომპანიასთან: პირები რომლებიც ახორციელებენ კონტროლს კომპანიაზე (მათ შორის მშობელი კომპანიები, შვილობილი კომპანიები და პარტნიორები) საერთო კონტროლის ფარგლებში; ფლობენ წილს კომპანიაში, რაც უზრუნველყოფს მნიშვნელოვან გავლენას და აქვთ ერთობლივი კონტროლი კომპანიაზე;

(ბ) პარტნიორი კომპანიები – რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი ზეგავლენა კომპანიაზე და რომლებიც არ წარმოადგენენ შვილობილი კომპანიას ან ერთობლივ საქმიანობას

(გ) ერთობლივი საწარმოები (Joint ventures), სადაც კომპანია არის ერთ-ერთი საწარმო;

(დ) კომპანიის ან მისი მშობელი კომპანიის პერსონალი;

(ე) ა) ან (დ) პუნქტებში ნახსენები პირების ახლო ოჯახის წევრები;

(ვ) მხარე, რომელსაც უშუალოდ ან ირიბად კონტროლირებს, ერთობლივად აკონტროლებს ან რომელზეც აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (დ) ან (ე) პუნქტებში ნახსენებ პირებს;

დაკავშირებულ მხარეებთან ანგარიშსწორების დეტალები, ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით და მათთან განხორციელებული ტრანზაქციები მოცემულია შემდეგ ცხრილებში

2024	სახელფასო ხარჯი	შემოსავალი
ხელმძღვანელობა	99,491	-
დედა კომპანია	-	-
სულ	99,491	-

2023	სახელფასო ხარჯი	შემოსავალი
ხელმძღვანელობა	74,662	-
დედა კომპანია	-	535,460
სულ	74,662	535,460

31-დეკ-2024	მიღებული ავანსი	სახელფასო ვალდებულებები
ხელმძღვანელობა	-	99,491
დედა კომპანია	-	-
სულ	-	99,491

31-დეკ-2023	მიღებული ავანსი	სახელფასო ვალდებულებები
ხელმძღვანელობა	-	500
დედა კომპანია	-	-
სულ	-	500

შენიშვნა 16 პირობითი ვალდებულებები

საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიას არ გააჩნია არსებითი პირობითი ვალდებულებები.

შპს „ფინტექ სოფტვარე სისტემს გეორგია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში

შენიშვნა 17 შემდგომი მოვლენები

კომპანიას არ ჰქონია შემოსავალი 2025 წლის 15 მაისამდე, აღნიშნულ დღეს კომპანიამ გააფორმა ახალი ხელშეკრულება კონტრაგენტთან და განაგრძო თავისი საქმიანობა